F 2372
1907

მწყემსი

მწყემსმან კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იოან. 10—11.

№ 13 1883—1907 წ. 15 იულისი

ჩვენი ჟურნალის ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

(პავლე მოციქულის დარიგება თუ როგორი უნდა იყვნენ ეპისკოპოსნი და მღვდელნი.)

ჯერ არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფა, ვითარცა ღვთისა მონისა, ნუ თავსედ ნუ გულმწყრალ, ნუ მოღვინე, ნუ მოლალე, ნუ საძაგლის—შემძინე, არამედ სტუმრის მოყვარე, წმინდა, მართალი, ღირს. მოთმინე, თავს-მდებელ მსგავსად მოძღვრებისა მის. ხუცესნი ფრთხილ იყვნენ, ღირს, წმიდა, ცოცხალ სარწმუნოებითა, სიყვარულითა, მოთმინებითა. სიტყვა ცოცხალი, უგმობელი, რათა წინა-აღდგომსა რცხვენოდეს და რათა არა აქვნდეს ჩვენდა მომართ სიტყვა ბოროტისა. ჰქადაგე სიტყვა, ზედა ადეგ ჟამითი უჟამოდ, ამხილენ. შერისხენ, და ნუგეშინის ეც ყოვლითი სულგრძელებითა და მოძღვრებითა. (წიგნი პავლე მოციქულისა ტიტეს და ტიმოთეს მიმართ).

ამ მოკლე სიტყვებით სრული დარიგება ეძლევა ეპისკოპოსებს და მოძღვრებს იმაზე თუ როგორი უნდა იყვნენ „იგინი“? ეხლა ვიკითხოთ ჩვენთვის ვასრულებთ თუ არა მოციქულის დარიგებას ჩვენ მწყემსნი სამწყსოთა. ესმის თუ არა ტოტსადი სიტყვა სამწყსოთა რათა წინაადგომსა რცხვენოდეს? რით გამოიხატება მოძღვართა მაცადინობა ცოცხალი სიტყვით დამოძღვრა სამწყსოთა, რომ ყველას სარწმუნოების და ქრისტიანული ზნეობის წინაადმდეგ მოქადაგეთა რცხვენოდეს?.. სად ისმის ქადაგება ჟამითი უჟამოდ, სად ისმის მხილება და შერისხვა?.. თითქმის არსად. ჭეშმარიტად ღვთის მადლით მიმდინარეობს ჩვენში სარწმუნოება, სასოება და ღვთის სიყვარული. არა მიმხედველი ამდენი უკულმართი მქადაგებლებისა სიტყვით, წიგნაკებით და მწერლობით. საზოგადოდ ხალხს გულში ღრმად აქვს გადგმული ფესვები ქრისტეს სარწმუნოებისა და და ქრისტიანულ ზნეობისა... ჩვენ მწყემსნი მხოლოდ მღვდელ მოქმედებას ვასრულებთ და ცოცხალი სიტყვა შემარცხვენელი ურწმუნო მოქადაგეთა არსად ისმის...

დიად, უბედურ დროს, შევესწარით. დიდი სიხარულით მოველოდით მაღალი სწავლით აღჭურვილ სამღვდელო პირთა და ვიმედოვნებდით, რომ იგინი ჩვენი უწსავლელი სამღვდელოების ნაკლულევანებას დაფარავდა ,მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ ასრულდა. იმ დროს როცა ბებელის და მის მსგავს ურწ მუნო კაცთა წიგნაკები მრავლად ვრცელდება ხალხში ჩვენი დიდად ნასწავლნი მოძღვრები ერთს სტრიქონსაც არას სწერენ. რატომ? იმიტომ, რომ ოჯახის მოთხოვნილება დიდი აქვსთ და საუმჯობესოდ რაცხვენ რაიმე გზით შემოსავალნი თვისნი განადიდონ, და მამულები შეიძინონ და ბოლოს უთხრან თავის სულს: „სულო იხარებდე და ნეტარებდე, რადგან მრავალი შევიძინე!“

რა უნდა ქმნან ჩვენმა საშუალო და მდაბალი კლასების კურსის დასრულებულებმა სამღვდელოებამ იმ დროს როცა უმაღლესი სწავლის მიმღებნი გარდა ორიოდე კაცისა სრულებით არავითარ მოღვაწეობას არ იჩენენ სარწმუნოების ასპარეზზე?, და ან კი რა მოღვაწეობა უნდა მოითხოვოს ზოგიერთებისგან, როდესაც თვითონაც საეკვოდ მიაჩნიათ ის რაც სარწმუნოდ არის აღიარებული! ანაფორა რაღას ნიშნავს? იქნება მკითხოს ვინმემ. მაგრამ ამაზე აი რას უპასუხებთ დღეს ფულისა და კარგი ჯამაგირის გულისათვის თათრების ხალათსაც კი

წამოისხმენ არა თუ ანაფორას!.. ზოგიერთი მოძღვრები თავს იმართლებენ მით, რომ დატვირთულნი არიან სხვა და სხვა საქმეებით და თანამდებობებით და დრო აღარ აქვსთ ქაღალდების წერისა და სარწმუნოებრივი და მნეობრივი შინაარსის წიგნაკების გამოცემისა. მაგრამ ეს თავის გამართლება მტკნარი სიცრუეა. ამავე პირებს თქვენ ხშირად ხედავთ მწვანე მაგიდაზე მიმჯდარს და მელის მტვრის მყლაპავს ორი-სამი-და ოთხი საათობით. სასიამოვნო და სასიხარულოა, ამისთანა უბედურ დროს, რომ სამწყსოთაგან აღმოსჩნდებიან ერის კაცები, რომელნიც თავგამეტებით მცადინობენ სარწმუნოებრივ და ზნეობრივი შინაარსის წიგნების გამოცემაზე,—ეს კაცები ამ საქმისათვის უკანასკნელი თავისი ქონების შეწირვაზედაც მზად არიან. ზნეობრივ განმხრწნელ წიგნაკებთა წინააღმდეგ ესენი გამოსცემენ მათ პირდასაყოფლად რელიგიურ და ზნეობრივ შინაარსის წიგნაკებს. მაგრამ როგორ გაავრცელონ ხალხში ეს წიგნაკები? აი კითხვა, რომელზედაც ჩვენ გვსურს მოველაპარაკოთ ჩვენი ორგანოს ხელის მომწერთა.

ამ წლის დამდეგს ჩვენ მივიქეცით სამღვდელოებისადმი და ვსთხოვეთ, რომ შეგვედგინა ძმობა „მწყემს“-ზე ხელის მოწერით და დაგვედვა ვალთ (კანონით კი მღვდლობის მიღებიდამ ვალდებული ვართ) გვემუშავნა სამწყსოთა სასარგებლოდ და წინააღმდეგ მრავლად გავრცელებულ უხიაგ შინაარსის წიგნაკებისა გაგვეერცელებინა ზნეობრივი და სარწმუნოებრივი შინაარსის წიგნაკები. ამასთან გაგვევრცელებინა კრიტიკული განხილვა ურწმუნო და უზნეო შინაარსის წიგნაკებისა. ძმობის მიზანს, როგორც მკითხველი დაინახავს, შეადგენს სარწმუნოების და ზნეობის ამაღლებას სამწყსოთა შორის და არა პოლიტიკურს. ნამდვილ სოციალ-დემოკრატიის პროგრამაც არ ეხება სარწმუნოების საქმეს ისე როგორც ჩვენში შეცდომით ჩაიდინეს ზოგიერთებმა, სიტყვით ვითომ სოც.-დემოკრატებმა, მაგრამ საქმით და მიმართულებით — ყაჩაღებმა. სოციალ დემოკრატიის პროგრამმა სრულებით წინააღმდეგია ძარცვა გლეჯისა და მამულების წართმევისა, რომ დღეის შემდეგ მათ იბატონონ და დღემდის ვინც ბატონობდა ისინი მოსამსახურეთ გაიხადონ...

საქართველოში ორი ათასამდეა ქართველი მღვდელი. ამ ორი ათას სამღვდელოებაში ძმობაში მონაწილეობის მიმღებნი აღმოჩნდენ ოთხასამდე დანარჩენთა, როგორც ლევიტელმა არ მიაქცია ყურადღება დაჭერილ სამარიანელს ისე მათ სრულებით არავითარი ყურადღება არ მიაქციეს სამწყსოთა თუმცა დაკოდილნი ჩვენი სამწყსონი სამღვდელოებისაგან მოელოდა სანუგეშო სიტყვას. როცა ზოგიერთებმა შეხედეს, რომ თვით მღვდლებმაც გაიხადეს ანაფორა და დაიწყეს ურწმუნოებაზე ქადაგება, რასაკვირველია, ამან სულ გული მოსწყვიტა სამწყსოთა. მაგრამ, ვგონებ, გაიარა ამ მრისხანე ქარიშხალმა და იმედია ხალხის განთავისუფლების საქმე ჩაადგეს თავის კალაპოტში და სარწმუნოების საქმე დაადგეს იმ წესზე როგორზედაც სდგას სხვა განთლებულ სახელმწიფოში...

ზნეობის და სარწუნოების აღორძინების გულის შემატკივართა მოგვმართეს ჩვენ თხოვნით, რომ მივიღოთ მათგან 20,553 წიგნი რელიგიური და ზნეობრივი შინაარსისა. ჩვენ დაუმატეთ ამ წიგნაკებს ათი ათასი ცალი ხალხისთვის სასარგებლო საკითხავი წიგნები და შესდგა სულ 30,553 ცალი. წიგნების შემწირველნი სთხოვენ ყველა „მწყემსი“ ს ძმათა გაინაწილონ ეს წიგნები, წაუკითხონ მრევლთა და დაურიგონ მსურველთა. შემწირველნი ითხოვენ, მხოლოდ წიგნების წამკითხველთა განუმარტონ შინაარსი წიგნაკებისა.

თვითეული ცალი ამ წიგნაკებისა უნდა იყოს საეკკლესიო წიგნთ-საცავებში და ეკკლესიის ქონების წიგნებშიაცა ნაჩვენები. თვითეული ცალი იქონიონ თვით ძმათა წასაკითხავად სამწყსოთათვის სადაც საუმჯობესოდ შერაცხენ ეკკლესიის გარეთ თუ, რასაკვირველია, ეკკლესიაში. და დანარჩენნი დაურიგონ შეგნებულ მრევლთა.

შორაპნის მაზრაში წიგნები უნდა მიიღონ თვითონ ჟურნალზე ხელის მომწერთა, რადგან ხშირად ხდება ყველას ყვირილაში ჩამოსვლა ჯერ მაგრის ასაღებად. იმერეთის ეპარქიის რაჭის, ლეჩხუმის და ქუთაისის მაზრების ხელის მომწერთა შეუძლიათ მიიღონ ქუთაისის სანთლის საწყობიდან.

გურია-სამეგრელოის ეპარქიის ხელის მომწერთა—კანცელარიიდან. ქართლ-კახეთის ეპარქიის ხელის მომწერთ შეუძლიათ მიიღონ სინოდალნი კანტორიდან. სამღვდელო პირებს შეუძლიათ მიანდონ თავიანთ ბლაღოჩინებს ამ წიგნაკების მიღება. წიგნაკების მიღება დაიწყება 30 აგვისტოდან. საერო წოდების ხელის მომწერთ გარეშე საქართველოისა რედაქციისაგან გაეგზავნებათ.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲘ.

„უკეთუ ძირი იგი წმიდა
არს და რტონიცა მისნი“
(რომ 11, 17)

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ სიკეთე ადამიანის თანშეზრდილი მისწრაფებაა. ყველა მიისწრაფის ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ, მაგრამ ყველას ერთგვარად არ ესმის იგი. პასხალის სიტყვით 280 გვარის სიეთის წარმომადგენელია ქვეყანაზე. დღეს გადამდებ ავად. ᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲔᲠᲙᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲔᲒᲠᲔᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲝᲛᲫᲦᲕᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲔᲓᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲗᲐᲕᲓᲔᲑᲐ; ᲙᲐᲪᲘᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲨᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚᲡᲐᲕᲔ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲚᲢᲝᲚᲕᲐᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ. ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲐ!

„ᲘᲞᲧᲐᲠ ᲬᲣᲗᲜᲘᲗ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘ“, ᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲔᲠᲘᲙᲣᲠᲘ: „ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲙᲣᲠᲘᲡᲐ, ᲫᲘᲠᲘᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡᲐ“,

ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲛ ᲣᲛᲪᲔᲕᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲡᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲮᲐᲠᲑᲘᲐ, ᲒᲐᲣᲛᲐᲫᲚᲐᲠᲘᲐ: ᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲪᲛᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲥᲕᲔᲜᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ. ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲣᲠᲜᲔ ᲙᲐᲪᲘ ᲮᲐᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲔᲢᲐᲜᲔᲑᲐ, ᲮᲐᲜ ᲘᲛᲐᲡ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲣᲮᲕᲐᲓ ᲐᲬᲧᲓᲘᲡ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲭᲐᲜᲒᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲘ ᲙᲐᲪᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲪᲛᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗᲘᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲮᲕᲐᲚ ᲘᲒᲘ ᲩᲘᲖᲚᲘᲗ ᲣᲧᲣᲠᲔᲑᲡ, ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲤᲣᲠᲩᲥᲕᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲓᲘ, ᲮᲕᲐᲚ ᲮᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲭᲙᲜᲔᲑᲐ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲒᲛᲘᲜᲐᲕᲡ ᲗᲐᲜᲯᲕᲘᲡ ᲣᲦᲔᲚ-ᲥᲕᲔᲨ ᲓᲐ ᲔᲫᲘᲔᲑᲡ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲝᲥᲠᲝ-ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚ-ᲒᲐᲜᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ, ᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲘᲠᲐᲚᲘᲗ ᲮᲔᲚ-ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲔᲒᲔᲑᲔᲑᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲧᲣᲠᲕᲐᲚᲔ ᲮᲐᲠᲑᲐᲓ ᲔᲬᲐᲤᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ. ᲝᲥᲠᲝ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲙᲔᲠᲞᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲗᲐ, ᲓᲦᲔᲡᲐᲪ, ᲕᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲓ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲬᲐᲡᲠᲣᲚ ᲟᲐᲛᲡ. ᲘᲒᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲐ ,ᲠᲝᲛ „ᲝᲥᲠᲝ, ᲗᲕᲘᲡᲗᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲗᲐ ᲐᲠᲐᲡᲝᲛᲓᲔᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲡ ᲚᲮᲔᲜᲐᲡᲐ. ᲡᲘᲙᲕᲓᲔᲚᲐᲛᲓᲔᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲑᲔ ᲨᲔᲐᲛᲗᲮᲕᲔᲕᲡ ᲙᲑᲘᲚᲗᲐ ᲓᲠᲩᲔᲜᲐᲡᲐ, ᲔᲛᲓᲣᲠᲘᲡ ᲔᲢᲚᲗᲐ ᲠᲑᲔᲜᲐᲡᲐ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲥᲐ ᲡᲣᲚᲡᲐ ᲓᲐᲐᲑᲐᲛᲓ. ᲓᲐᲣᲨᲚᲘᲡ ᲐᲛᲐᲤᲠᲩᲔᲜᲐᲡᲐ.

ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲛᲔᲚᲝᲑᲐ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲐᲓ ᲛᲝᲐᲙᲕᲓᲘᲜᲔᲑᲡ. ᲐᲡᲔ ᲓᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ ᲫᲕᲔᲚᲡ ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲠᲘ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲐᲣᲧᲜᲘᲡᲐ ᲘᲮᲠᲬᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲝᲪᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲓᲔᲜ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲣᲜᲯᲔᲨᲘ ᲪᲣᲠᲕᲐᲡ. ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲗ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲠᲝᲛᲘ. „ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲚᲮᲘᲜᲘ“ ᲔᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐᲖᲔ. ᲒᲐᲜᲚᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲮᲔᲜᲐ-ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ. ᲞᲐᲛᲐ, ᲛᲣᲪᲚᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲔᲢᲐᲠᲑᲐ ᲘᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲫᲚᲐᲠᲜᲘ ᲞᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲐᲛᲚᲘᲡ ᲦᲔᲑᲣᲚᲝᲑᲓᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲔᲡᲘᲡᲝᲗ ᲛᲣᲪᲔᲚᲘ- ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲮᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ. ᲡᲣᲚ ᲓᲐᲪᲚᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲚᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲘ ᲮᲠᲬᲜᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲔᲪᲐ ᲓᲐ „ᲐᲰᲐ“ ᲡᲐᲓᲐ ᲐᲠᲡ ᲘᲒᲘ ᲛᲢᲔᲠᲗᲐ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ.

> ᲛᲢᲠᲘᲡᲐ ᲛᲣᲰᲗᲐᲚᲗᲐ ᲤᲔᲮ-ᲛᲙᲠᲗᲝᲛᲝ ᲪᲔᲪᲮᲚ-ᲛᲝᲛᲓᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲢᲔᲠᲤᲘᲡᲐ ᲥᲕᲔᲨᲣ ᲛᲓᲔᲑᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲑᲝᲠᲙᲘᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲓᲔᲑᲘ?!“

ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲮᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲰᲐᲛᲘᲗ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲩᲐᲜᲡ. „ᲒᲐᲜᲕᲐᲓᲘᲓᲔᲓᲔᲜ ᲥᲛᲜᲣᲚᲜᲘ ᲩᲔᲛᲜᲘ,—ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜᲘ,—ᲐᲔᲦᲕᲘᲨᲔᲜᲔᲜ ᲩᲔᲛᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲜᲘ, ᲓᲐᲕᲜᲔᲠᲒᲔ ᲩᲔᲛᲓᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ, ᲕᲘᲥᲛᲔᲜ ᲩᲔᲛᲓᲐ ᲛᲢᲘᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲗᲮᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲜᲔᲠᲒᲔᲜ ᲗᲐᲗ ᲨᲘᲜᲐ ᲮᲔᲜᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡᲐ. ᲨᲔᲕᲔᲥᲛᲔᲜ ᲩᲔᲛᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲔᲚᲜᲘ ᲬᲧᲐᲚᲗᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲠᲬᲧᲐᲕᲓᲐ ᲗᲐᲗᲒᲐᲜ ᲜᲝᲠᲩᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲮᲔᲗᲐᲡᲐ. ᲛᲝᲕᲘᲒᲔ ᲛᲝᲜᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲔᲕᲐᲚᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲣᲚᲜᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲩᲔᲛᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲪᲐ ᲡᲐᲛᲠᲝᲬᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲬᲧᲡᲝᲪ ᲘᲥᲛᲜᲐ ᲩᲔᲛᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲩᲔᲛᲡᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲗᲐ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ. ᲨᲔᲕᲘᲙᲠᲘᲑᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲘᲡᲐ, ᲔᲧᲕᲔᲜ ᲩᲔᲛᲓᲐ ᲛᲔᲛᲓᲔᲠᲔᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲜᲘ ᲓᲐᲡᲐᲢᲙᲑᲝᲛᲚᲐᲓ ᲫᲘᲡᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ, ᲛᲔᲣᲬᲔᲜᲔᲑᲘ ᲛᲐᲛᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲗᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲕᲐᲙᲚᲔ ᲛᲐᲗᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲕᲐᲧᲔᲜᲔ ᲒᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡᲐ ᲩᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲕᲘᲮᲔᲚᲔ. ᲛᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲖᲔᲓᲐ ᲜᲐᲕᲬᲜᲐᲠᲗᲐ ᲩᲔᲛᲗᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲡ ᲮᲔᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲠᲣᲓᲣᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲕᲘᲠᲣᲓᲣᲜᲔ ᲥᲛᲜᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲰᲐ ᲔᲡᲔᲪᲐ ᲐᲛᲐᲝ“

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲡᲔᲜᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲮᲐᲜ-ᲛᲝᲙᲚᲔᲝᲑᲐᲐ. ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲒᲘ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲗᲣ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲕᲐᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲯᲐᲛᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲢᲐᲜᲯᲕᲐᲐ ᲓᲐ

მეტი არაფერი. წარმოიდგინეთ ცხოვრებით დამტკბარი (თუ კი ეს შესაძლებელია). მოხუცი საფლავის კარებთან ხარბის თვალებით უყურ-მზდვარე ცხოვრებისკენ; ოხ, თვით სამოთხეც ჯოჯოხეთი იქნებოდა, იგიც რომ ჟამადი ყოფილიყო.

მატერიალისტური მოძღვრება ბედნიერებას ნივთიერებაში ხედავს და ნივთიერ პირობებში ოდენ ჯაჭვავს. ნივთიერება კი ხრწნადია და ცვალებადი და ყოველივე მის მიერ აღმოცენებული და მისგან დამოკიდებული იგივე ცვალებობისა და ხრწნილების მექონი და როგორც ესევითარი ვერ ნეტარჰყოფს ადამიანს. კაცი ეძებს ბედნიერებას ნივთში და ნივთი ეკალსა და კურო თავს აწვდის, „თესავს ხორცთა შინა თვისთა და ხორცთა მიერ თვისთა იმკის ხრწნილებას“ (გალ. 6, 8—9).

სასუფეველის ძიებით მომყმარს კაცობრიობას მიმართავს ქრისტეს ეკლესია: „ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყვნის და სადა მპარავთა დასთხარიან და განიპარიან“. (სახ. მათ. 6, 19). „ხორცთა და სისხლთა სასუფეველი ღვთისა დამკვიდრებად ვერ ძალ-უძს. არცა ხრწნილებამან უხრწნელება დაიმკვიდროს“ (ა. კორინთ. 15, 50—51) „რომელსა ნებავს ცხოვრება და უყვარან ხილვად დღენი კეთილნი დაიცხრე ენა შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყჳან ზაკვასა. მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი, მოიძიე მშვიდობა და მისდევდი მას“.

კაცობრიობა ცოდვისა შინა მდებარეა, ენებებში ჩაფლულია, ენების უდელქვეშ გმინაეს. საჭიროა ბრძოლა ამდენ უბედურების მტერთან, მაგრამ ვინ არის ეს მტერი? ვინ იქერს უსამართლობას ტანჯვის, მონების, უსამართლობის, შევიწროების—ჯოჯოხეთის უღელ-ქვეშ? მრავალნი ამის მიზეზად ასახელებენ სილარიბეს, ზოგნი უწესო მმართველობას და ზოგიც სხვა მაგ გვარს. ნამდვილად კი მიზეზი კაცობრიობის ტანჯვისა უფრო ღრმაა. იგი თვით კაცთა შორისაა, სახელდობ: ავი ზნე-ჩვეულება, ენებებით გაჟღენთილი ბუნება ადამიანისა.

კაცის შინაგანი ავადმყოფობა ზოგჯერ იწვევს გარედან სხეულის სიმსივნეს. ზოგიერთრი „მკურნალნი“ გასივებულის წამლით შელებით ცდილობენ გააქრონ სიმსივნე და მით ჰგონებენ ავადმყოფის მორჩენას. იმას კი არ ფიქრობენ, რომ ძირითადი მიზეზი სიმსივნისა—შინაგანი ავადმყოფობაა—კვლავ აღმოხეთქს იმავე სახით. ასეთივე ისტორია ემართებათ კაცობრიობის სოციალურ ავადმყოფობათა ზოგიერთს დოსტაქრებს, რომელნიც ცდილობენ არსებულ უსრულ მართვა-გამგეობათა, კანონთა და წყობილებათა ძალით ჩაფუშვით განკურნონ კაცობრიობა და ქვეყანაზე მშვიდობა დაიმყარონ. რას ნიშნავს ეს?—კეთილნვნვბით დაფენილს ძვირფასი ძოწეული გარდაეცვა. წყლული ძვირფას სამოსელს შებღალავს და თავისებურს სახეს მისცემს. საბერძნეთმა უძველეს ხანაში დემოკრატიზმი დაიმყარა, მაგრამ წინსვლისა და ბედნიერების ნაცვლად მძლავრობა (ტირანია) აღმოშვა. მართალს ამბობს შოპენგაუერი: „რესპუბლიკა იხრება ანარხიზმისკენ და მონარხიზმი დესპოტიზმისკენ“. ცხოვრება სურათია ადამიანისა და გამოვა ისეთი, როგორიც თვით ადამიანია. სპეტაკი იქნება ადამიანი ზნეობით და თავისუფალი ყოველ ბოროტებისგან,—ცხოვრებასაც ნეტარების შარავანდედი გადაეფინება. სანამ კაცობრიობა ზნეობით ავადმყოფია ვერავითარი წყობილება, ვერავითარი სიმდიდრე, ვერავითარი განათლება ვერ გაბედნიერებს. ყველაფერი ეს ქვიშაზე დაშენებული დარბაზი იქნება, რომელსაც ამოვარღვევა ქარიშხალი და მიწაზე დაანაცხებს. გონიერი მუშა ყანაში ღვარძლს ძირიანად აგდებს. ზედ-გადაჭრილი ღვარძლი ყოველთვის ამოყოფს თავსა. ასეა ცხოვრებაშიაც მდიდრის ძალით გაძარცვა, ძლიერთა ხმლით ჩამოგდება და სხვა რეფორმები კი არა ქმნიან ბედნიერებას—ზნეობრივს ცხოვრებას, პირიქით ზნეობრივი ცხოვრება ქმნის ერთობას, ძმობა-სიყვარულს და ბედნიერებას. ძალადობა, მტაცებლობა, ჩაგვრა-შევიწროება და სხვა მზგავსი ბოროტება ჯოჯოხეთია კაცობრიობისათვის, მაგრამ რა იწვევს, რა ბადებს ამ ჯოჯოხეთს?—ურთიერთის სიძუულილი, ამპარტავნება, შური და სხვა ზნეობრივი სიმახინჯენი,—აი ის მღილნი, რომელნიც თან-და-თან სასიკვდინეთ ღრღნიან კაცობრიობის გულს. საქმე მუცლის აღვსებაში არ არის. ეს რომ ასე იყოს მდიდარნი უმწეერვალეს პატიოსნებით უნდა იყვნენ აღტურვილნი და გლახაკნი უზნეონი, მაგრამ სინამდვილე წინააღმდეგს ადადგებს. ნივთიერი უზრუნველ-ყოფა რომ იყოს ბოროტებათა მომსპობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იწვევს ზოგიერთ მდიდარს საბოროტ-მოქმედოდ? ისინი ხომ მაძღარნი არიან! რა აიძულებს მილიონის პატრონს ქონებათა განდიდებას და მშიერ მოძმისთვის არ განაწილებას? რა აიძულებს უმდიდრეს სახელმწიფოს უღარიბესს ებრძოლოს? გაუნათლებლობა? მაშ ევროპიელნი განა ზანგთა ნაკლებ განათლებულნი იყვნენ, როცა უკანასკნელთ პირუტყვივით ყიდდენ?! არა, საქმე არც გონებითსწავლებით განვითარებაშია მხოლოდ გონებით განვითარებული თუ გულით, ზნეობით დაბნელებულია მისი ნასწავლი გონება ღვარძლთა აღმოცენებას ემსახურება კაცობრიობის ცხოვრებაში. ჭეშმარიტად სთქვა გენიოსმა მგოსანმა: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან, რა გული წავა, იგინიცა წავლენ და მისკენ მიდიან“. მდიდარს რომ წაართვა და ღარიბს რომ გაუნაწილო, დამამონებელი ჩამოაგდო და დამონებულს გვერდში ამოუბა,—საქმე ამით არ გათავდება, ქვეყნად საბოთხეს ამით ვერ დაამყარებ. ქონება წართმეული ავიზნე მდიდარი, ძირს ჩამოგდებული მძლავრი,—ესენი დაბმული მხეცებია, რომელნიც, მოხერხებული წამი, და ისევ გაველურდებიან. ზნეობით დაცემულს მდიდარს ქონება წაართვით, მძლავრი შებოჭეთ, მაგრამ ამით ისინი არ მოქცეულან. მათ შერჩათ სიმდიდრის შეკრებისა და ძალადობის ძირითადნი მიზეზნი: ხორციელი თავ-მოყვარეობა, ანგარება, უმჯობესისადმი შური, შეუბრალებელ-ყოფელის შურის ძიება, რომელნიც, როგორც იწყებენ ამოსვლას მყისვე ამოგლეჯენ ცხოვრების ნიადაგს.

მაშ სად არის ხსნა? რა დაამყარებს კაცთა შორის სასუფეველს? ქრისტიანობა, ერთად ერთი, იძლევა ამაზე ჭეშმარიტ პასუხს: ბოროტებათაგან განშორებული, განსპეტაკებული გული, ცოდვათათვის მომკვდარი და ზნეობით ამდგარი ადამიანის ბუნება. „ნეტარ არიან წმიდან გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“.

„ჩვენი ყოფაქცევა, ამბობს ნეტარ-ხსენებული მდედელთ-მთავარი გაბრიელი, დამოკიდებული არის ჩვენის გულის თქმაზედ. ყოველი კაცი წინაპირველად გულში მოიფიქრებს ანუ განიზრახავს კეთილსა, გინა ბოროტსა საქმესა და მერმე აღასრულებს. როგორიც გული აქვს კაცსა, ისეთი საქმეც ექმნება“. სანამ ადამიანის გული, ეს წყარო კაცის მოქმედებათა და სურვილთა ხენეშია, სანამ თვით კაცი. ეს ძირი ცხოვრებისა, თავის ბუნებაშივე შეიცავს სიდამშლეს რაგვარი ურთიერთობის გარეგანი კავშირი დააწესოთ კაცთა შორის, ამით მხოლოდ სიკეთე ქვეყნად ვერ იდღესასწაულებს. სიკეთე ბოროტებაზე შეუძლებელია დაეშენოს. „არავინ დაადგის სადგმელი უმრკნველი (გაუხვეველი) სამოსელსა ძველსა, რამეთუ აღიღის სავსება სამოსლისა მისგან და უფროსი განხეთქილება იქმნის. არცა შთაასხიან ღვინო ახალი თხიერთა ძველთა, რათა არა გასქდენ თხიერნი ღვინო დაითხიოს და თხიერნი (ტიკპორა) წარსყმდენ, არამედ შთაასხიან ღვინო ახალი თხიერთა ახალთა და ორნივე დაიმარხნიან“. (მათე. 9, 16 – 17) ცხოვრება, წყობილება, კავშირი ადამიანთა შორის მაშინ იქნება სრული, სანეტარო და მყარი, როცა ამათ საფუძვლად დაედება განწმედილი სული ადამიანისა, „რომლისა ნაყოფი არს: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელება“ (გალატ. 5). როგორ მივახწიოთ ამას?—«ხორცნი თვისნი ჯვარს ვაცვათ ენებითურთ და გულისთქმით“ (გალ. 5), ე—ი, განვსწმიდოთ თვით ჩვენი გული ბოროტისა და უზნეო სფერისგან, ყოველივე ბოროტი მოვსპოთ სულთაგან ჩვენთა, დავნერგოთ ჩვენს შორის, ჩვენს შინაგანს ბუნებაში სიყვარული, მშვიდობა, სულგრძელება,—და დამყარდება ქვეყანასა ზედა მშვიდობა, ვინაიდგან კაცის მოქმედებათა დასაბამი გულია კაცისა და „უკეთუ დასაბამი იგი წმიდა არს და თბეცა, უკეთუ ძირი იგი წმიდა არ და რტონიცა მისნი“ (რომ. 11, 17).

ონოფრე მწირი.



ქართული ენის პროგრამის გამო

ამ ბოლო დროს ქართული ენის გაკვეთილების რიცხვმა მთავრობის საშუალო სასწავლებლებში თვალსაჩინოდ იმატა, მაგრამ ქართული ენის და ლიტერატურის შესწავლა მაინც ჯეროვანად და სასურველად არ არის დაყენებული. სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ერთი მიზეზი ამისა ის არის, რომ არავითარი სავალდებულო პროგრამმა არ არსებობს ქართული ენისათვის. თითოეულს ქართული ენის მასწავლებელს თავისი პროგრამა აქვს,

ანუ უკედ, რომ ვთქვათ, უმეტეს შემთხვევაში სრულებით არავითარი პროგრამმა არა აქვს და, როგორც სურს და ეპრიანება, ისე ასწავლის თავის საგანს. არა ერთხელ გაგვიგონია საყვედური გიმნაზიების დირექტორებისაგან, რომ ქართველი საზოგადოება არა ზრუნავს სახელმძღვანელოების შედგენის და ქართული ენის პროგრამის შემუშავებისათვისაო.

ზოგიერთებმა ჩვენ გვთხოვეს შეგვედგინა პროგრამა ქართულის ენისა საშუალო სასწავლებელთათვის, ამას წინად კიდევ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიიდან გადმოგვცეს გასასინჯავად და აზრის წარსადგენად ზოგიერთ გიმნაზიის მიერ წარდგენილი პროგრამები. ვერც ერთი მათგანი ჩვენ საკმაოდ და სასურველად ვერა ვსცანით. ამას გარდა, ჩვენის აზრით, პროგრამა ქართულის ენისა ყველა გიმნაზიასა და საშუალო სასწავლებელში, რომლებშიაც ამ საგანს ასწავლიან, ერთი და იგივე უნდა იყოს და მასთან სავალდებულოც. თვით ქართული ენის მასწავლებელთა წრის მოვალეობად მიგვაჩნდა ჩვენ ასეთი პროგრამის შედგენა.

ამიტომ მივმართე თხოვნით ყველა ქართული ენის მასწავლებელს ტფილისის საშუალო სასწავლებლებისას, მათ შორის სასულიერო სემინარიის და სათავად-აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელთაც, მიეღოთ მონაწილეობა ქართული ენის პროგრამის შედგენაში. მასწავლებელთა კრებამ რამდენიმე სხდომა მოანდომა საგნის გამორკვევას, შემდეგ კომისია აირჩია, კომისიის მიერ წარმოდგენილი პროგრამა გაარჩია, შესცვალა და შეავსო და გეგმა შეადგინა,

ეხლა მივმართავთ თხოვნით ყველა იმ პირთ საზოგადოებისას, ვისაც ამ საგნისათვის გული შესტკივა, თავიანთი აზრი გამოსთქვან ამ გეგმის შესახებ და თქვენ, ბატონო რედაქტორო, გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ყველა იმ სტატიებს და შენიშვნებს, რომელნიც ამ პროგრამის შესახებ იქნება წარმოდგენილი.*) აგვისტოს დამლევს ამა წლისას კომისია ერთხელ კიდევ ყურადღებით განიხილავს პროგრამას იმ მასალის მიხედვით, რომელიც იმ დროისთვის შეიკრიბება თქვენის გაზეთის საშუალებით, შეავსებს და შესცვლის, რასაც საჭიროდ დაინახავს, და შემდეგ წარუდგენს მზრუნველს თხოვნით, რომ წარდგენილი პროგრამა სავალდებულო იყოს ყველა იმ საშუალო სასწავლებელთათვის (ვაჟების და ქალების გიმნაზიებისათვის და პროგიმნაზიებისათვის, რეალურ სასწავლებელთათვის და სხვა), რომლებშიაც ქართულ ენას ასწავლიან. თუ რა პრინციპებზეა დამყარებული წარმოდგენილი გეგმა პროგრამისა, ეს თვით გეგმიდან სჩანს და აქ არ გავიმეორებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ყოველგვარ გარჩევას, კრიტიკას და შენიშვნას ამ გეგმის შესახებ კომისია დიდის მადლობით მიიღებს და ყურადღებით განიხილავს საბოლოო პროგრამის შემუშავშეების დროს.*)

(„ისარი“)

*) ყველა გამოგზავნილს წერილს და შენიშვნას ჩვენ გადავცემთ ზემოდ აღნიშნულს კომისიას; უფრო საყურადღებო წერილებს დავბეჭდავთ.

რედაქტია.

*) პროგრამა შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი.

„მწყემ.“ რედაქცია.

ბათომიდან ნეაპოლამდე გემით.

(26 მარტი—4 აპრილი)

მგზავრის შენიშვნები

(გაგრძელება**).

ნეაპოლის ჩრდილოეთ აღმოსავლეთი ნაწილი სულ მთიანია და იქ ბევრი არაფერია საინტერესო. სამხრეთით ნეაპოლიდან მდებარეობს ძველი ქალაქი პომპეი, ნეაპოლიდან 20 ვერსის მანძილზე, ელექტრონის რკინის გზით მატარებელი უნდება 30 წამს. მესამე კლასის ბილეთი იქით და აქეთ ღირს 40 კაპ.

პომპეი ძველი რომაული პატარა ქალაქია და 79 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ ვეზუვის ცეცხლის მფრქვევი მთის სიღრმიდან ამონთხეული სითხით იქნა სრულიად დამარხული; პომპეისთან ერთად მაშინ დაიღუპა ქალაქი ჰერკულანუმი. მე-19 საუკუნეში დაიწყეს პომპეის ნანგრევების კვლევა და დღევანდლამდე თითქმის სულ გამოაჩინეს რაც დაფარული იყო 19 საუკუნის განმავლობაში; ამჟამად გამოკვლევა კიდევ გრძელდება. რკინის გზის სადგურიდან პირდაპირ ხედავთ უზარ-მაზარ ალაყაფის კარებს, რომელიც პომპეიში შეგიყვანთ. შესავლთან დაინახავთ დიდ მოედანს, რომელზედაც სახლების

**) იხ. მწყემსი № 12 1907 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედლებია დარჩენილი; ამ მოედანზე იკრიბებოდენ ხოლმე ძველი პომპეელები, აქვე ასამართლებდენ დამნაშავეებს და სწყვეტდენ საშინაო საქმეებს; ამ მოედნიდან იწყება გრძელი ქუჩა 90 საჟენი, რომელიც მიგიყვანთ მეორე გასავალ კარებთან—ამას ეძახიან საზღვაო კარს, რადგან აქედან პატარა გზა ზღვის პირთან მიდის. შემდეგ შეხვდებით ძველი სამსჯულოს ნანგრევებს (Basilika) რომლის კედლებზე დღემდის დარჩენილია ლამაზი მხატვრობანი, ამ შენობაში სწყვეტდენ ხოლმე ომიანობის კითხვებს.

განსაკუთრებით მშვენიერად შენახულია სასახლე ერთი მდიდარი პომპეელის (Wettier). ეს სახლი გამოაჩინეს 1895 წ. სასახლე რამოდენიმე დიდი დარბაზიდან შესდგება და შუაში ბაღია, სადაც ძველი ქანდაკებებია დარჩენილი. ბაღშივე დიდი დარბაზია, რომელშიდაც ძველი ღმერთების ქანდაკებებია დარჩენილი. კედლებში დარჩენილ განჯინებში ძველი შუშებია ფრიად საინტერესო; სამზარეულოს კედლებზე დახატულია ღორი, რომლის ხორცის ჭამა ძველ რომაელებს ძლიერ უყვარდათ; ოთახის კედლები საუცხოო მხატვრობით არის შემკობილი. ზოგიერთ ადგილას ჩუქურთმა შეკეთებულია, რომ არ ჩამოინგრეს. ეს დიდებული სახლი როგორც სჩანს, თავის დროზე ძალიან შემკობილი იყო, რადგან თითქმის 2000 წლის შემდეგ კიდევ განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

შემდეგ შესანიშნავია ჯასიუსის სახლი, რომელიც 1830 წ. მიწიდან ამოთხარეს. ამ სახლის პატრონი კაი ცეზარის დროს პრეფექტად იყო. ეზოში შესანიშნავი ქანდაკებაა მოთხამაშე ქალისა და ალექსანდრე დიდის; ეს ქანდაკებანი სულ ძველი ბერძნული ხელობისაა. შუა დარბაზში წყლის შადრევანია, ეს ჩვეულება იყო ძველი რომაელებისა.

ძლიერ საყურადღებოა ეგრეთვე პომპეის სასაფლაო, ზედ-მეტი არ იქნება, რომ აქვე მიცვალებულის დასაფლავება ავსწეროთ. ცხედარს ჯერ დაბანდენ, მერე სურნელოვან ზეთს წაუსვამდენ, გაახვევდენ თეთრ სუდარში და დასდებდენ ტახტზე. ტახტთან დასდგამდენ მაგიდას და მოუკიდებდენ საკმეველს. თუ მიცვალებული ძლიერ მოხუცი იყო, მაშინ ცხედარს ამნაირ მდგომარეობაში შვიდ დღეს სტოვებდენ და დაქირავებულ ქალებს უნდა ეტირათ და ეგლოვათ. მერვე დღეზე ბუკით და წინწილით აუწყებდენ ხალხს, რომ ეს და ეს პირი აღარ არის ცოცხლებში და მისი გვამი დაიწვებაო. მერმე ცხედარს აასვენებდენ და მუსიკით და ტირილით წაასვენებდენ სასაფლაოსკენ, ცხედარი ტახტრევანზე ესვენა და თავი ცოტა აწეული უნდა ჰქონოდა. თავზე ვარდები და გვირგვინები ჰქონოდა დადებული ცხედარს უკან ნათესავები მოჰყვებოდენ, მერე წარჩინებული პირნი და ბოლოს უბრალო ხალხი, რომელიც ფშტვენდა და თამაშობდა ცხედრის პატივსაცემრად. სასაფლაოზე ცხედარს დიდ თიხის კუბოში ჩადებდენ და დასწვავდენ. ამ დროს კი თამაშობდენ და გალობდენ, ხან-და-ხან გლადიატორებს და მხეცებს აჭიდებდენ ხოლმე. დაქცეულ სისხლზე იტყოდენ მსხვერპლათ შეეწირება მიცვალებულსაო. დაწვის შემდეგ ფერფლს მოჰბოჭავდენ და კოლოფში შეინახავდენ.

დასასრულ ორიოდე სიტყვა პომპეის ძველ თეატრზე, რომელიც მდიდარი პომპეიელების ხარჯით იყო აშენებული. შიგ უმეტეს ნაწილად გლადიატორების და მხეცების ჭიდაობა ხდებოდა ხოლმე როდესაც ბატონები თავის მონებს სიკვდილს მიუსჯიდენ აქ ამ თეატრში მხეცებს აჭიდებდენ ხოლმე, შემდეგ ეს ბარბაროსობა დაშლილი იყო.

როდესაც ყველა ზემოდ აწერილს ნახავ, განცვიფრებაში მოდიხარ და ფიქრობ, როგორ შენახულა ეს საუნჯე მიწაში 2000 წლის განმავლობაში.

პომპეიში შესანიშნავი ობსერვატორიაა, სიდანაც ვეზუვის ადევნებენ თვალ-ყურს.

პომპეიდან რომ უკან დაბრუნდებით მეორე სადგური ვეზუვის სადგურია, აქედან ცალკე ლიანდაგი მიდის ვეზუვისაკენ. ამ ჟამად ეს ლიანდაგი სულ დაფარულია ღველფლით. 1906 წ. აპრილში ვეზუვიმ ამოხეთქა და სულ დაჰფარა ერთი სოფელი, რკინის ლიანდაგი და საყდარი. აქამდეც არ გაუწმენდიათ კიდევ. ვეზუვისკენ მიმავალ გზას ფეხით შეუდგებით და მიხვალთ ობსერვატორიასთან, სადაც წითელ ბოძზე წარწერას ნახავთ: „ზემოთ წასვლა აკრძალულია“. ამ ბოძს იქით მიწა თბილია და თხელი, ასე რომ ადვილათ შეგიძლიათ ჩაეფლოთ. ამ ჟამად ვეზუვის მთა დაწყნარებულია და კომლი აღარ ამოდის, ცოტათი კი ორშივალი ამოდის.

ამით ვათავებთ ნეაპოლის და მისი მიდამოების აწერილობას. აქ გათავდა ჩვენი ზღვით მოგზაურობა. ბათუმიდან შეიძლება ფრანგული და გერმანული გემებით წამოსვლა: „Deutsche Lervante Linie“

და „Messaqeries Maritimes“. გემი თვეში ორჯერ გამოდის და ღირს ბათუმიდან ნეაპოლამდე 38 მან. საქმელით მე-III კლასი და 120 მანეთი I კლასი. გემი ყველა შესანიშნავ ქალაქებში ჩერდება.

ჩვენი შემდეგი მოგზაურობა გაგრძელდა ნეაპოლიდან მიუნხენამდე.

4 აპრილს ღამის 12 საათზე გაეემგზავრეთ ნეაპოლიდან რომისკენ. მე-III კლასის ბილეთი ღირს 14 ლირა=5 მანეთი და 30 კაპ. მე-III კლასის ვაგონები ძლიერ უსუფთაოა იტალიაში და ღამით მოგზაურობა ბევრი არაფერი სასიამოვნოა. ნეაპოლიდან რომამდე რკინის გზა სულ ვენახებით არის შემორტყმული და მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს, სადგურზე ყველას სიცოცხლე ეტყობა და ვაგონებში ხშირათ გაიგონებთ სიმღერას, ნეაპოლიტანელები ამ შემთხვევაში იმერლებს წაგავან. მატარებლები ძლიერ ჩქარა დადიან, თითქმის გერმანიისაზე უფრო ჩქარა.

5 აპრილს დილის 9 საათზე მივედით რომში. სანამ მატარებელი ცენტრალურ სადგურს მიუახლოვდებოდეს ხედავთ ძველი რომის კედლების ნანგრევებს. ეს დიდებული კედლები ძველ რომაელის ძლიერებას მოგაგონებენ და დღევანდელ ელექტრონით განათებულ რომს კიდევ ძველებურ კვალს აჩენენ. დღევანდელი რომი, როგორც ქალაქი არაფრით არ განირჩევა სხვა იტალიის ქალაქებიდან, მხოლოდ ქუჩების სისუფთავე იპყრობს თქვენ ყურადღებას. რომი არ არის სავაჭრო და საწარმოო ქალაქი, იგი მდებარეობს მდინარე ტიბრის ნაპირზე და გარეშემო მინდვრები და ვენახები არტყია.

ყველაზე დიდებული რომის სიძველეთაგან წმ. პეტრეს ტაძარია. სიმაღლე 186 მეტრია. პირველად როდესაც გარედან შეხედავთ ვერ ახდენს დიდ შთაბეჭდილებას, მხოლოდ თქვენ ყურადღებას იპყრობს მაღალი გუმბათი და გუმბათის თავზე ბრონზის ჯვარი. შესავალში თქვენ ყურადღებას იქცევს ბრონზის კარი, რომელზედაც სხვა და სხვა ისტორიული მხატვრობანი საუცხოო ხელოვნებით არის გამოყვანილი; გაიღებთ თუ არა კარს და შეხვალთ შიგნივ თქვენ გაოცებას საზღვარი არა აქვს, მისჩერებიხართ ძველი ხელოვნების სიდიადეს და ფიქრობთ, რომ შეუძლებელია დღევანდელ ადამიანთათვის ასეთი სიდიადის შექმნა; ყოველ მხარეზე ხედავთ ქანდაკებას, რომელნიც ცოცხლათ გამოიყურებიან. შუა ადგილას ოთხ ბოძზე დამაგრებული ტახტრევანია, რომლის ქვეშ წმიდა მოციქულ პავლეს საფლავია. ყოველი კუთხე ამ დიდებულ ტაძარში ცალკე ეკკლესიას წარმოადგენს, გუმბათი სულ ფერადი მოზაიკით არის გამოყვანილი და სხვა-და-სხვა წმინდანთა სახეებიც მოზაიკიდან არის. შემდეგ გრძელი კიბით ადიხართ სახურავზე და აქედან დიდ გუმბათზე, რომლიდანაც პატარა კიბით შიგ ჯვრის ქვეშ შედიხართ. აქედან მშვენიერ სანახაობას წარმოადგენს ქ. რომი, თქვენ წინ იშლება ნანგრევები და შუაში მდინარე ტიბრი. როდესაც ტაძარს ვათვალიერებდით ამ დროს ღვთის მსახურებას შევეწარითი და ჩვენ სმენას მშვენიერი მუსიკა და მწყობრი გალობა ატკბობდა. რომის დათვალიერების დროს ჩვენთან იყო ქართველთაგან კარგად ცნობილი პატრიმიხეიდ თამარაშვილი. ზედ მეტი არ იქნება, რომ ორიოდე სიტყვით ამ პატივცემული პირის მოღვაწეობა გავაცნოთ მკითხველს. სულ 25 წელიწადი იქნება რაც მიხეილ თამარაშვილი რომშია გადმოხვეწილი, ამ ხნის განმავლობაში ლიტერატურული მოღვაწეობით ირჩენს თავს. 1902 წ. თფილისში გამოიცა მისი წიგნი: „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ მე-XIII საუკუნიდან მე-XX საუკუნემდე. ამ ჟამათ უკვე მზათა აქვს ფრანგულ ენაზე „ქართული ეკკლესიის ისტორია“. ქონებრივი შეუძლებლობა ნებას არ აძლევს თავის დროზე გამოსცეს ეს წიგნი, რომელიც ძლიერ საინტერესო იქნება ევროპიელთათვის.

წმ. პეტრეს სობოროს შემდეგ დავათვალიერეთ წმ. პავლეს სობორო, სივრცით რასაკვირველია ეს უკანასკნელი პირველზე ნაკლებია, მაგრამ განსაკუთრებით სიმშვენიერეს აძლევს მოზაიკის მხატვრობა და ძვირფასი ქვით მთელი ტაძარის შენობა.

6 აპრილს დავათვალიერეთ დიდებული ვატიკანი პაპის საბრძანებელი, შესავალში მწკრივად დგანან შვეიცარიელი ჯარის კაცები — ეს პაპის დარაჯებია და ძველი ჩვეულებისამებრ პაპს ყოველ გამოსვლაზე თან ახლავან. ვატიკანში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბიბლიოთეკა, სადაც ძველი ხელთნაწერები ინახება, ეგრეთვე ძველი დოკუმენტები, სხვა-და-სხვა ძვირფასი ზხატვრობა და ქანდაკებანი.

ქალაქის განაპირას მდებარეობს ჯოდიზეი. (ცირკი), სადაც ძველი რომაელები მონებს და მხეცებს აპიდებდენ და ამ სანახაობით ერთობოდენ, დასავ-

ლეთი ნაწილი კოლიზეის დაუნგრევლად არის შენახული, აღმოსავლეთით კი კედლები ძლიერ დაზიანებულია. კოლიზეი ოთხ სართულიან შენობას წარმოადგენს და საჯდომები შიგნივ ირგვლივ არის მოწყობილი. კოლიზეიში არის საფლავი წმ. ელენესი, ბიზანტიის მეფის კონსტანტინეს დის. ბევრი ლამაზი ჩუქურთმიანი ქვები კოლიზეიდან პაპებმა თავიანთ სასახლეების ასაშენებლათ გადაზიდეს და ამნაირად ამ ძველ დიდებულ ნაშთს ბევრი რამე მოაკლეს. როდესაც კოლიზეის ვათვალიერებდით იქ ერთი მოხუცი კაცი შეგვხვდა, რომელიც წინად მხატვარი იყო, ეხლა კი კონკებში გამოხვეული კოლიზეის ნანგრევებს შესჩერებოდა, იმან დიდის აღელვებით შემოგვძახა: „თქვენ როგორც უცხოელებს შემთხვევა გეძლევათ დაათვალიეროთ ის ადგილი, სადაც ძველი დროის ბატონები თავიანთ მონებს მხეცებს აგლეჯინებდენ და ამაში დიდ სიამოვნებას პოულობდენო“. აქვე კოლიზეის მარცხნივ ძველი თაღით გამოყვანილი კარები, რომელსაც კონსტანტინეს კარებს ეძახიან. ეს კარები შემკულია ძველი ჩუქურთმით და წარწერებით.

კოლიზეის პირ-და-პირ თქვენ თვალ-წინ იშლება ძველი ფორუმი, ეს ის მოედანია სადაც ძველი რომაელები იკრიბებოდენ ხოლმე, აქ მრავლათ არის ძველი ტაძრების და შენობების ნანგრევები, აქვე სდგას ერთი ბოძი, რომელთანაც ძველი რომაელის განთქმულმა მეტერმეტყველმა ციცერონამ კაცილინას მამხილებელი სიტყვებით მიმართა. ამ ჟამად ფორუმზე არქეოლოგიური საზოგადოება კიდევ აგრძელებს მუშაობას და მრავალ ნანგრევებში პოულობენ ძველი რომის რესპუბლიკის დროის ნივთებს და საბუთებს.

ფორუმს ზემოდან გადმოჩერებია ძველი რომის ციხე კაპიტოდი. კაპიტოლი ამ ჟამად შეკეთებულია და შუა ეზოში ორი ისტორიული ქანდაკებაა, ერთი წარმოადგენს ცხენზე მჯდომარე მარკ აურელის, ციხის ეზოში დასავლეთიდან კიბე ამოდის, რომლის გვერდში რკინის გალიაში დამწყვარეულია მგელი, ეს პირუტყვი იმ ისტორიული ლეგენდის მოსაგონრათაა, რომელიც გადმოგვცემს, რომ ვითომ ორი ძმა კასტორი და პოლუქსი, რომელთაც რომი დაარსეს პატარაობისას მგელმა გაზარდა თავისი რძით. აქვე ტბაში ცურაობენ ბატები, ეგრეთვე ისტორიული შემთხვევის მოსაგონრად. როდესაც ბატებმა რომი გადაარჩინეს. დღევანდელ იტალიას ცოცხალი საბუთებით უნდა თავის ისტორიის სიძველენი ნახსოვრობაში აღიბეჭდოს, ჩვენში-კი თუ ძველი ნანგრევი ციხე ან საყდარი ნახეს, მაშინვე ჩუქურთმის ქვებს გამოაცლიან და სამოსახლოთ მოიხმარებენ.

შემდეგ დავათვალიერეთ ეგრედ წოდებული წმ. პეტრეს პატარა ეკლესია სადაც მიქელ ანჯელოდან გაკეთებული მოსეს ქანდაკება სდგას, მოსე წინასწარ, მეტყველი დიდ სკამზე ჯის ჩაფიქრებული და და ხელში კვერთხი უჭირავს. სახე და სხეულის ნაწილები ისეთი მშვენიერათ არის გამოჭრილი, რომ ნ ნაბიჯზე ცოცხალი გეგონებათ. ამბობენ, რომ როდესაც მიქელ ანჯელომ ეს ქანდაკება დაამთავრა ისე მოეწონა, რომ მუხლზე ჩაქუჩი დაჰკრა და შესძახა „რატომ არ დამელაპარაკებიო“.

დავათვალიერეთ ეგრეთვე უძველესი სობოროთაგანი, რომლის კედლებიც სულ ნახვრეტებით არის გავსილი; როდესაც ძველი გერმანელები რომს შემოესივენ მაშინ ამ ეკლესიის კედლები სულ დაჩუჩნეს რადგან რკინეულობას ეძებდენ, მაშინ კი რკინეულობა ისე ფასობდა, როგორც ეხლა ვერცხლი. აქვე ამ სობოროსთან მეორე ძველი შენობაა, სადაც ეხლა ქალაქის სამმართველოა მოთავსებული, ამ შენობის წინ უძველესი წყარო გამოდის და ძლიერ ცივიც არის, ამ წყაროზე რომაელები ამბობენ, „ვინც ამ წყალს დალევს კიდევ ჩამოვა რომშიო“, წყაროსთან ქანდაკებებია.

ცოტა მოშორებით ძლიერ მაღალი ქვის სვეტია, რომლის თავზედაც ქანდაკებაა პავლე მოციქულის, ეს სვეტი რამდენიმე საუკუნე იქნება რაც აშენებულია და ირგვლივ ისტორიული წარწერებით არის მოხატული.

შემდეგ დაგვრჩა დასათვალიერებლად ძველი ქრისტიანების სალოცავი გვირაბები (კათაკომბები), მაგრამ, სამწუხაროთ, ნახვა ვეღარ მოვასწარითო, რადგან მეტი ხნით დარჩენა არ შეგვეძლო რომში.

ყველა რომში ნახულმა ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ რაც უფრო მეტ ხანს დარჩება კაცი უფრო მეტს შეითვისებს და უფრო მეტ სიდიადეს დაინახავს.

(გაგრძელება იქნება).

მგზავრი.

საჭიროა თუ არა ხალხში ჰეშმარიტი სწავლის გასავრცელებლად მწერლების კლოუნობა?

ვინ არის კლოუნი საზოგადოდ, და კერ-ძოდ რით გამოიხატება მწერლის კოუნობა? როცა ცირკის წარმომადგენლები ერთი და იმავე წარმოდგენით თავს მოაბეზრებენ მაყურებელთ და გახშირდება მთქნარება მაყურებელთა შორის წარმოდგენის დროს ერთ საშუალებას მიყოფენ ხელს, რომ მაყურებელნი გამოაფხიზლონ მასხრობით და უწმაწური სიტყვებით. რომ გათავდება მოქმედება, ანტრაქტების დროს, გამოვლენ სასაცინოდ ჩაცმული კაცები და დაიწყებენ მასხრობას. შეგნებულნი მაყურებელნი სირცხვილის გამო ზოგიერთ შემთხვევაში ეარედ გადიან და სრულებით ტოვებენ ცირკს. მაგრამ უგნურნი ბავშვნი ამ მასხრობით გადაკუჭკუჭდებიან სიცილით და სრულებით გამოფხიზლდებიან. ცირკის პატრონები ამ საშუალებით კარგა ბლომა ფულს შოვობენ უგნურ და უვიც მაყურებელთაგან. ეს კლოუნები სრულებით არ დაგიდევენ თუ რამდენად საზარალოა ესეთი მასხრობა მოზარდ თაობისათვის...

სწორეთ ამისთანა კლოუნი და მასხარა მწერლები გავრცელებულან ჩვენში იმის შემდეგ რაც ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება შემოიღეს. არავითარი განსხვავება არა აქვს ცირკის კლოუნებთან შედარებით „ისარში“ დაბეჭდილი სტატიის ავტორს: „საჭიროა თუ არ სულის საცხონებლად კალათი, ხურჯინი და ტიკჭორა?“ ცირკის კლოუნები ღორის და ვირის თავით გამოდიან და ემუსიფებიან მაყურებლებს. „ისარში“ კაცის თავით გამოდიან და ისეთ ცილსა სწამებენ სამღვდელოებას, რომელიც მთელს დედა მიწაზე არ მომხდარა. ამ მოთხრობის მიზანია, რომ „ისრის“ მკითხველებს არ დაეძინოს და გაზეთის კითხვას სულ თავი არ დაანებონ, თორემ რათ დასჭირდათ ესეთი ცილის დაწამება სამღვდელოებისათვის ამ ბატონებს? დიაღ, სასაცინოა ეს სტატია, რომ ასე სამწუხარო არ იყოს. ჩამოქფეს ვგონებ ჩვენმა მწერლებმა რაც გააჩნდათ და ეხლა კლოუნობას მიყვეს ხელი!..

ამისთანა სამასხარო სტატია უნდა იბეჭდებოდეს სამასხარო გაზეთებში, რადგან იქ ყველა გამოჩენილ მასხრებს შეუყრიათ თავი... მოგვყავს აქვე ეს კლოუნობა გამოუკლებლად, რომ ყველამ შეადგინონ თავისი მოსაზრება ასეთ მწერლებზე...

საჭიროა თუ არა სულის საცხონებლად კალათი, ხურჯინი, და ტიკჭორა?

„რომ ადამიანი იბადება—მუშტი მოკუმშული აქვს, თითქო გვეუბნება—ქვეყანა ხელში უნდა ჩავიგდოო; როცა კვდება—ხელი გაშლილი აქვს, თითქო გვამცნევს, ხომ ხედათვ, თან არაფერი მიმაქვსო“.

ეს საგულისხმიერო ჰეშმარიტება დაცულია ებრაელთა ძველ სიბრძნის კრებულში, ეგრედ-წოდებულ ტალმუდში.

ყველამ იცის, რომ ჩვენ მღვდლებს ქრისტეს სჯული შესწავლილი არა აქვთ, და ებრაელთა მოძღვრება საიდან ეცოდინებათ. ამიტომაც გახლავთ, რომ ერთმა ექსპროპრიატორმა სამღვდელოების უვიცობა ერთობ ვერაგულად გამოიყენა და ამას წინად ერთი დარბაისელი ტფილისელი მღვდელი შეაცდინა, ვითომ და პანაშვიდის დასაკვეთად ეწვია და საუბრის ბოლოს უთხრა, სხვა-და-სხვა ნაირი სანოვაგე უნდა მოგართვათ და ერთი ხურჯინი, კალათა და ტიკჭორა მიბოძეთო. გახარებულმა მღვდელმა იმ წამსვე მისცა, რასაკვირველია, ნათხოვარი ნივთები, რის შემდეგ ეშმაკი სტუმარი კვალ-წმინდად გაჰქრა.

მადა აშლილ საბრალო მღვდელს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ ბოლოს-და-ბოლოს საიქიოს სანეტარო ადგილისაკენ სამგზავრო უეჭველად ნამდვილ ქრისტიან მოძღვარისათვის უეჭველად საჭიროა საკმაო საგძალი—მხარზე გადაგდებული გემრიელი ლუკმებით გატენილი ხურჯინი, მარჯვენა იღლიაში ამოდებული ერთი ტიკჭორა კახური ღვინო და მარცხენა ხელში—ხილით სავსე კალათი.

სასტიკად ნუ დავძრახავთ საბრალო სასულიერო გვამს: იმას ტალმუდის სიბრძნე შესწავლილი არა აქვს და არ იცის, რასაკვირველია, რომ ზეციერი სასუფევლის გზაზე ხურჯინ-კალათ-ტიკჭოროსნებს არ უშვებენ.

ერთი ჩვენ თავს დავეკითხოთ, თუ რანაირი ღვთაების წარმომადგენელია ვითომ და ქრისტიანი მღვდელი. მოდის მასთან სრულებით უცნობი და პირველად ხილული ადამიანი; წესის ასრულებას სთხოვს და ჯილდოს აძლევს.

მოსწყვიტეთ თქვენი გული ტიკჭორებსა და

ხურჯინებს, უსაგზლოდ შეუდექით ჭეშმარიტების გზას, სასულიერო მოძღვარო, და არასოდეს აღარ ჩავარდებით სასირცხო და სასაცილო მდგომარეობაში, — გულ-წრფელად ვუპასუხებთ ჩვენ. („ისარი")

ამაზე მეტი დონკიხოტობა აღარ შეიძლება...

სოფლის ხუცესი.

პორტ-არტურის საქმე.

სამსახურიდან გასულ გენ. ლეიტ. სტესელს, მისი შტაბის უფროსს გენ. მაიორ რეისს, პორტ-არტურის უფროსად ნამყოფს გენ. ლეიტ. სმირნოვს და ხმელეთის სიმაგრეთა უფროსად ნამყოფს გენ. ლეიტ ფოკს ჩააბარეს საბრალმდებლო ოქმი პორტ-არტურის ციხის იაპონელებისათვის გადაცემის გამო. უმაღლესი სამხედრო სასამართლო გენ. სტესელს ბრალსა სდებს, რომ:

1) მანჯურიის ჯარის უფროსის ბრძანებისამებრ არ გადასცა ციხე კომენდატ სმირნოვს და არ გამოვიდა პორტ არტურიდან, არამედ დარჩა იქ და ციხის უფროსობა მიითვისა;

2) დაარღვია ბრძანება შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისა 1904 წ. 14 აპრილის თარიღით, ჩაერია პორტ-არტურის საქმეში, დაარღვია მისი უფლებანი და ამით დასცა რწმენა მისდამი, მისი ავტორიტეტი და შეასუსტა ციხის საგერი ძალა. სხვისი უფლება მან სხვათა შორის იმით დაარღვია, რომ მიუხედავად კომენდანტის განკარგულებისა ნება მისცა ციხიდან სურსათ საქონლის გატანისა. ჟანდარმები ლიაოტეშანზე გადაიყვანა, აკრძალა გა. მოცემა გაზეთ „ნოვი კრაი"-სა, დაუპატიმრა მისი თანამშრომელი ნოჟინი და შეაჩერა მეორე და მესამე რიგის სიმაგრეთა აშენება;

3) თავის დროზე არ იზრუნა და პორტ-არტურში საკმაო სურსათ-სანოვაგე არ მოაგროვა;

4) ალყის შემორტყმის შემდეგ მას მისდიოდა მწვავი და დაცინვის კილოთი დაწერილი შენიშვნები გენ. ფოკისა, რომელნიც ამცირებდნენ უფროსის ავტორიტეტს, არყევდნენ დისციპლინას და გარნიზონის სულიერ განწყობილებას, მაგრამ მან არ აკრძალა მათი გამოცემა და ციხეში გავრცელება.

5) პირადი ინტერესებით სტესელმა გაუგზავნა მანჯურიის ჯარების უფროსსა და ნამესტნიკს ისეთი მოხსენება ცინ-ჯოუსთან მომხდარ ბრძოლის შესახებ, სადაც უკუღმართად იყო აწერილი ეს ბრძოლა და ნახსენები იყო, ვითომ თვითონ სტესელი ენერგიულად ხელმძღვანელობდა ბრძოლას, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ ბრძოლის დროს გენ. სტესელი პორტ-არტურში იყო და ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია;

6) იმავე პირადი ინტერესებით მან მოხსენება წარუდგინა ჯარების უფროსს და იტყობინებოდა, რომ ფოკის რაზმი მწყობრად იწევს მგლების გორებისკენ, ნამდვილად კი ჯარმა არეულ-დარეულად დაიწია უკან.

7) პირადი ინტერესებით გატაცებულმა სტესელმა, რომელმაც თავისი თავი ისე გამოიყვანა, ვითომ ის პირადათ დიდ მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა დროს მომხდარ ბრძოლაში, ჯარების უფროსს 1904 წ. 1 ივნისს მოხსენება წარუდგინა შესახებ თავის მოქმედებისა პორტ-არტურში და იუწყებოდა, ვითომ ის ყოველ ბრძოლაში იღებს მონაწილეობას, ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ სტესელი 26 იანვრიდან 1 ივნისამდე პორტ-ატურის ჯარს იაპონელებთან არც ერთი შეტაკება არ მოსვლია, გარდა ცინ ჯოუს ბრძოლისა, რომელშიაც მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია;

8) განზრახ ციხის ჩაბარების გასამართლებლად მან 1904 წ. 16 დეკემბერს დეპეშით შეატყობინა ხელმწიფეს, რომ მას შემდეგ, რაც იაპონელებმა ხელთ იგდეს ფორტი № 3, მთელი ჩრდილო აღმოსავლეთი ფრონტიც უეჭველად მათ ხელში უნდა გადავიდესო, ციხე მხოლოდ რამდენიმე დღეს-და გასძლებსო და ტყვია-წამალიც გამოგველიაო. ეს მოხსენება სიმართლეს იყო მოკლებული, რადგან სამხედრო კრებამ დიდი უმრავლესობით გადასწყვიტა ციხის დაცვა უკიდურესობამდე და გენ. ბედიმ და ნიკიტინმაც განაცხადეს ამ კრებაზე, რომ ტყვია-წამალი საკმარისია;

9) სულ ტყილ-უბრალოდ და უსამართლოდ დააჯილდოვებინა სისხლის ჯვარით გენ. ფოკი ცინ-ჯოუსთან წაგებულ ომისთვის, სადაც ფოკი სრულიად დაიბნა და აირ-დაირია; დააჯილდოვებინა იმავე ჯვრით გენ. რეისი, რომელმაც განაცხადა, რომ ისეთი საგმირო არაფერი ჩამიდენია, რომ ამ ჯილდოს ღირსი ვყოფილიყავიო;

10) სტესელმა განზრახა ციხის ჩაბარება მიუ-

ხედავდ იმისა, რომ სამხედრო კრებამ დიდი უმრავლესობით გადასწყვიტა ციხის დაცვა, რაიც სავსებით შესაძლებელი იყო; მან ბოლომდის არ სცადა დაეცვა ფორტი „პატარა არწივის ბუდე“, დაეთანხმა გენ. ფოკის წინადადებას და უბრძოლველად დაუთმო იაპონელებს კუროპატკინის ლიუნეტი და „არწივის ბუდე“, რის გამო ძლიერ შეასუსტა ციხე; მეორე დღენ მან დაავალა გენ. რეისს იაპონელებთან მოლაპარაკების დაწყება შესახებ ციხის ჩაბარებისა და რეისმაც ხელი მოაწერა ციხის დანებების ხელშეკრულობას, სადაც ისეთი პირობები იყო ჩამოთვლილი, რომელნიც შეურაცხყოფდნენ და ამცირებდნენ რუსეთის პატიოსნებასა და სახელს. ასეთ საქმის ჩადენით სტესელმა არ შეასრულა მხედრის მოვალეობა და ფიცი და, როცა ციხე იაპონელებს ჩააბარა, დატყვევებულ ჯარს უბედურება არ გაუზიარა და თან არ გაჰყვა.

გენ. რეისს ბრალი ედება „მაში, რომ მან იცოდა სტესელის განზრახვა ციხის დათმობის შესახებ იმ დროს, როცა შესაძლებელი იყო ბრძოლის გაგრძელება, და ხელი შეუწყო ამ საქმის განხორციელებას.

გენ. ფოკს ბრალი ედება იმაში, რომ:

1) ნაბრძანები ჰქონდა უკიდურესობამდე დაეცვა ცინ-ჯოუს სიმაღლენი, მან კი ნაადრევი დ'ეშა გაუგზავნა სტესელს და შეატყობინა, რომ ცუდ დღეში ვართ და ტყვია წამალი გამოგველიაო; სტესელისგან ბრძანება მიიღო, ბინდისას უკან დაიწიეთო, მან კი ბინდს ადარ მოუცადა, დღისით დაიწყო უკან დახევა და ამის გამო დიდი ზარალი მიაყენა ჯარს და იაპონელებს ადვილად ჩაუგდო ხელში წინადვე გამაგრებული პოზიციები;

2) 1904 წ. 8 აგვისტოს ბრძოლის დროს მიიღო ბრძანება, რომ მოწინავე პოზიციებზე ორი ბატალიონი გაეგზავნა, მან ეს ბრძანება არ შეასრულა და კამათი გაბა უფროსთან; 3) თუმცა გენ. ფოკი 9 აგვისტოდან 3 დეკემბრამდე არავითარ მოვალეობას არ ასრულებდა, მაგრამ მაინც პოზიციებზე დადიოდა და საქმეში ერეოდა ვითომ იმ აზრით, რომ საქმისთვის ხელი შეეწყო, ნამდვილად კი სულ მოკლეობას იჩენდა, სახელს ეძებდა, განგებ მამაცობდა და იმავე დროს ისეთ შენიშვნებს ბეჭდავდა, რომელნიც ჯარს იმედს უკარგავდნენ და სულიერ სიმტკიცეს ურყვნიდნენ; 4) ფოკი ხმელეთის სიმაგრეთა უფროსი იყო, იცოდა, რომ გენ. სტესელი ციხის ჩაბარებას აპირობდა და თვითონაც ხელი პორტ-არტურს შეუწყო ამ აზრის განხორციელებას.

სმირნოვს იმაში ედება ბრალი, რომ 1) მან იცოდა განზრახვა ფოკისა და სტესელისა, რომელთაც გადასწყვიტეს ციხე ისეთ დღეში ჩაეგდოთ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ჩაბარების გამართლება, მაგრამ არ ისარგებლა თავის უფლებით, ფოკი სამსახურიდან არ დაითხოვა და საზოგადოდ არაფერი იღონა ციხის ჩაბარების წინააღმდეგ; 2) როცა მან გაიგო, რომ სტესელმა მოლაპარაკება დაიწყო გენ. ნოგისთან პორტ-არტურის ჩაბარების შესახებ, არ მოიწვია სამხედრო კრება, არ აიძულა სტესელი, რომ მას შეესრულებინა მე-62 მუხლი ციხის დებულებისა და არ შეასრულა დადგენილება სამხედრო კრებისა, რომელმაც გადასწყვიტა ციხის დაცვა უკიდურესობამდე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** ქუთაისის ქართული გიმნაზია უდიდესი სასწავლებელია არა თუ ქუთაისში, არამედ მთელ კავკასიაშიაც. მომავალ ენკენისთვიდან გაიხსნება მერვე კლასი და დამთავრდება გიმნაზია, მერვე კლასის გარდა, სხვა კლასებს მოსამზადებლებს და ძირითადს, ყველას პარალელი აქვს და ამნაირად ერთი გიმნაზია კი არა ორი გიმნაზიაა ერთად. მოსწავლეთა რიცხვი შარშან, როგორც ეს წინადაც გაცნობეთ, 1100 კაცს აღემატებოდა, ხოლო წრეულს შემოდგომიდან მოწაფეთა რიცხვი მოსალოდნელია ავიდეს 1200 კაცამდე. წრეულს მერვე კლასი იხსნება უპარალელოდ და მერმის, როცა მეშვიდე კლასისა და მის პარალელის მოწაფენი გადავლენ მერვეში, მერვე კლასსაც დასჭირდება პარალელი. ასეთ დიდ სასწავლებელს ერთი გამგე და თანაშემწე ვერ გასწვდებიან, მით უმეტესს სასწავლებელი სამ შენობაშია მოთავსებული. ამის გამო სამზრუნველო კომიტეტს საჭიროდ დაუნახავს დაარსოს გამგის მეორე თანაშემწის თანამდებობა.

*** ევროპის გაზეთებში დაბეჭდილია თურმე „მოწოდება ქართველებისა“, მიმართული ჰაეაგის კონფერეციისადმი. მოწოდებაში აღნიშნულია სა-

ქართველოს უფლებრივი მდგომარეობა და მოთხოვნანიო. გაზეთები სტატიებს უძღვნიან ამ მოწოდებასაო.

*** ქუთაისის გუბერნიაში და აგრეთვე ალექსანდროპოლში გამოუქვეყნებიათ განცხადება, რომლითაც ხუთას თუმანს ჰპირდებიან იმათ, ვინც აცნობებს პოლიციას გენერალ-ალიხანოვის მკვლელთა ვინაობას.

*** სახალხო უნივერსიტეტმა ტფილისის თავადაზნაურობისაგან, თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა, მიიღო ასი თუმანი შემოწირულება. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა ულრმეს პატივისცემას უცხადებს ამ შეწირულებისათვის თავად-აზნაურთა კრებას და მთელ მის პრეზიდიუმს. (ისარი).

*** ამიერ-კავკასიის რუსთა საარჩევნო კურიაში არჩევნების საქმის მოსაწყობად ადგილობრივ რუსთა ერთ ჯგუფს შეუდგენია კომიტეტი, რომლის წევრებად აურჩევიათ: გენერალი ოგონ-დოგონოვსკი, ბ. ბ. კოლჩევსკი, შესტაკოვი, ტარატინოვი, ციგანკოვი, ვასილიევი, ანტონოვი, მილოვსკი და მიტნიკი. კომიტეტს განზრახვა აქვს, ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებშიაც, სადაც რუსის მოსახლეობაა, ამგვარივე კომიტეტები დააარსოს.

*** ვინაიდგან საერო წოდებაში; ზოგი კონსტიტუციას თხოვილობს და ზოგი რესპუბლიკას ყ-დ სამღვდელო სტეფანეს, კარად ცნობილს თფილისის სემინარიის რექტორობის დროს, დიდი რეფორმა მიუნიჭებია თვის ეპარქიის სამღვდელოებისათვის. როგორც ვკითხულობთ მოგილევის საეპარქიო უწყებაში, მათ მეუფეგას მიუნიჭებია უფლება სამღვდელოებისათვის, რომ ბლაღოჩინის თანაშემწე აღირჩიონ, მაგრამ იმ პირობით თუ მათგან აღრჩეულს მიიღებს თანაშემწეთ ბლაღოჩინი, რომელიც თვით მღვდელთ მთავრისგან იქმნება გამორჩეული. ამ უფლების გარდა კიდევ მიუნიჭებია ორი დამსახურებული სამღვდელო პირის აღრჩევის უფლება საბლაღოჩინო საბჭოს წევრად. თუ ახალი ბლაღოჩინი დაინიშნა მღვდელთ მთავრისაგან და სამღვდელოებისაგან აღრჩეული თანაშემწე არ ისურვა ახალმა ბლაღოჩინმა, უნდა აირჩიონ ის, რომელსაც ახალი ბლაღოჩინი ისურვებს და უჩვენებს!.. სწორედ დიდი რეფორმა მინიჭებია მოგილევის ეპარქიის!.. ცხადათ სჩანს თუ რამდენად დავშორდით მოციქულებისაგან დაწესებულ წესწყობილებას!...

*** სერბიის სამღვდელოებას ენიშნება ჯამაგირი ხაზინიდან თან და-თან მომატებით. ჯამაგირი თითო კრებულს დაენიშნება პირველად 1500 დინარი, რომელიც შეადგენს ჩვენებურად 585 მან. ან 1500 ფარანკს. ხუთი წლიდან ათ წლამდის მიიღებს 2000 ფრ. ათი წლიდან 15 წლამდის მიემატება 2500 ფრ. თუთხმეტი წლიდამ 20 წლამდე 3000 ფრ. 20—25 წლამდე 3500 ფრ. და 25—30 წ. 4000 ფრ. რომელიც უდრის ჩვენ ფულს ათას სამას სამოც მანეთს. ჩვენს ზოგიერთ სამღვდელოებას დაუნიშნეს ჯამაგირები იმდენი რამდენსაც ღიროდოვოები იღებენ და მომატებას და ყველამ მღვდლებისთვის ჯამაგირების დანიშვნაზე კრინტი აღარ იძვრის...

*** ყვირილაში ერთი ფაიტონი იყო და ეხლა ოთხია. შემოსავალი მოქეიფე ხალხიდან გვარიანად აქვსთ. ზურნით და ჩონგურებით დაარბენინებენ ქუჩაზე ფაიტონს და დროს ატარებენ იმ იმედით, რომ მცირეს ხანში საკუთრება მოისპობა და სხვისი იმათ ერგებათ...

*** მ. ი. ფონ შადეს ნება დაერთო გამოსცეს თავის რედაქტორობით ტფილისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი „ჩვენი სიტყვა“.

*** რადგან ამ ბოლო დროს რკინის გზებზე ძალიან გახშირდა ძარცვა-გლეჯა, გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია ზომები მიიღოს. ამ აზრით დიდ სადგურებზე აწესებენ განსაკუთრებულ რაზმებს. რაზმში მიიღებენ ნასალდათარებს ჟანდარმების ან პოლიციის რეკამენდაციით. ყველას დაურიგებენ თოფებსა და სასიგნალო მოწყობილებას. სადგურის მახლობლად გაიმართება მაღალი სადარაჯო კოშკები, საიდგანაც მთელი სადგურის ტერიტორია უნდა ჩანდეს.

*** 12 ივლისს საღამოთი პოლიცია მივიდა ორბელიანის ქუჩაზე გაზეთ „ღილის“ რედაქციაში და გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გაზეთის გამოცემა სამხედრო წესების მოხსნამდე შეაჩერა. პოლიციელები იყვნენ აგრეთვე ხელაძის სტამბაში, სადაც გაზეთი იბეჭდებოდა, და აწყობილ გაზეთის ასოები დროგით წაიღეს.

*** ქუთაისის მცხოვრებს დურგალ ივანე გეორგაძეს გმოუგონებია სიმინდის და ღომის საცე-

ხველი მანქანა, რომელიც გამოცდის დროს კარგის ღირსებისა გამომდგარა. მანქანის ამოძრავება შეუძლია ერთს კაცს; წყლითაც შეიძლება. მანქანა 12 კაცის ოდენას აკეთებს. გეორგაძე ამ ამბავს ატყობინებს კავკ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას და სთხოვს დახმარებას ამ მანქანის გავრცელების საქმეში. გეორგაძე ამასთანავე თანახმაა, გამოუგზავნოს საზოგადოებას გამოსაცდელად მანქანა. საზოგადოებამ აცნობა ივანე გეორგაძეს, რომ თუმცა ჩვენში არ შემოსულა, მაგრამ უკვე გამოგონილია საცეხველი მანქანა, რომელიც სულ 25 მანეთად ღირს. ამიტომ სამეურნეო საზოგადოება ურჩევს გეორგაძეს ადგილობრივ ხალხის თანადასწრებით გამოსცადოს მანქანა და თუ ხალხმა მოიწონა, ადვილად გავრცელდებაო.

* * * სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საქმე დასავლეთ საქართველოში მიყუჩებულია. არც კერძო პირთა და არც პარტიათა მხრივ მზადება არ არის. განცხადების შეტანის ვადამ სახლის დამჭირავეთა ისე გაიარა, რომ არავის ყურადღება არ მიუქცევია. საარჩევნო აგიტაცია არ არის. ამრჩევლებთა სიები ამ თვის დამლევს მზად იქნება და გამოჰფენენ კიდეც სამაზრო სამმართველოსა და ქალაქის გამგეობაში. რუსთა კავშირის არჩევნები მოხდება ქუთაისსა და სენაკში, საცა მონაწილეობას მიიღებენ ფოთელი რუსი ამრჩევლები. სხვა მაზრებში თუ აღმოჩნდნენ რუსი ამრჩევლები, ისინი ადგილობრივ მკვიდრთან ერთად მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას. გუბერნატორმა აცნობა ქუთაისის ქალაქის პოლიციას, რომ მან წინ დახედულად აძლიოს მოწმობა სახლის დამქირავებელთ, რათა არ განმეორდეს ის, რაც წინად არჩევნებში მოხდაო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

„ნოვ. ვრ." ჩაგრულ ერთა უფლებას იცავს. ავსტრო-უნგრეთში სლავიანთა უფლება დათრგუნეს გერმანელებმაო, სწუხს სუვორინის გაზეთი და უმატებს:

„სლავიანები არასოდეს არ უნდა შეურიგდნენ თავის დაჩაგრულ მდგომარეობას და არ უნდა მოსპონ ბრძოლა იმ დღემდე, სანამ არ განახორციელებენ თავის სამართლიან მოთხოვნათ. ხოლო ეს მოთხოვნანი შეეხებიან არა მარტო ენების თანასწორ უფლებლობას, არამედ ცხოვრების ყოველ მხარეში ეროვნულ სამართლიანობის აღდგენას..."

საუცხოოა: შინ „ჭეშმარიტ რუსების" პოლიტიკის დაცვა და ყველა არა რუს ერების განადგურება; გარეთ კი ჩაგრულ ერთათვის სამართლიანობის მოთხოვნა და ამ ერთა გამოწვევა დაუცხრომელ ბრძოლისათვის მჩაგვრელებთან!.. შემდეგ, „ნოვ. ვრ." ეხება ავსტრიაში ახლად შემოღებულ საყოველთაო საარჩევნო უფლებას და ამბობს, თუმცა ამ კანონმა მეტი უფლება მისცა ჩაგრულთ და უფრო შეაძლებინებს მათ თავის ინტერესების დაცვას,

„მაგრამ მაინც შორს არის იდეალისაგან და სავსებით უზრუნველ ვერ-ჰყოფს ეროვნულ მოთხოვნათა სამართლიანად გადაწყვეტას"...

საუცხოოა: შინ 3 ივნისის საარჩევნო კანონის მოწონება და არა-რუსთა პოლიტიკურ უფლებათა შეზღუდვის ქადაგება; გარეთ-კი საყოველთაო საარჩევნო უფლების დაწუნებაც იმიტომ, რომ შორს არის იდეალიდან და ცოტაოა!..

* * *

თავ. მეშჩერსკი, როგორც ყოველთვის, პირდა-პირობას ამჯობინებს და სასტიკად ჰკიცხავს ორეოფობას. ვერ გაგვიგია, როგორი წეს-წყობილება გვაქვს დღესაო: თვითმპყრობელობა თუ კონსტიტუცია. ასეთი ყოფა შეუძლებელი არისო და დროა საბოლოოდ გამოვარკვიოთ რა გვინდა—ძველი თუ ახალი წესიო!.. მოსაწონი სურვილია, მაგრამ თვით მეშჩერსკის რაც სურს, იმასაც ორეოფული ხასიათი აქვს:

„საჭიროა: 1) კანონმდებლობის საქმე ორ ნაწილად გაიყოს: კანონების დამზადება-შემუშავება—ერთი, ხოლო კანონების განხილვა, თათბირი კანონების შესახებ—მეორე; 2) სახ. სათათბიროს უნდა მიენიჭოს მხოლოდ მეორე უფლება, ე. ი. კანონების გამო თათბირი; 3) კანონების დასამზადებლად უნდა დაარსდეს მუდმივი დაწესებულება მთავრობის წარმომადგენელთა და მოწვეულ პირთაგან. მაშინ აღარც პოლიტიკური პარტიები იქნება, აღარც დღევანდელი ბრძოლა, აღარც საარჩევნო ასპარეზზე მიხლა-მოხლა; ყველაფერი წყნარად და მშვიდობიანად იქნება"...

რა საჭიროა მარტივ საქმის ასეთი გართლება. თავ. მეშჩერსკი უფრო ლოგიკურად მოიქცეოდა, სავსებით ძველის წესის აღდგენა რომ მოეთხოვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმსნეობაზე.

მეექვსე მცნება.

არა კაც-ჰკლა.

მწარე შედეგი იმ ბოროტისა, რომელიც ეშმაკმა შეიტანა ადამიანის უმანკო ბუნებაში, პირველად გამოცხადდა კაცის-მკვლელობითა. პირველთ ცოდვილთ გაჩენილთა დაებადათ შვილები. პირველი მათი შვილი იყო კაენი. როდესაც იგი დაიბადა, მისმა დედამ ევამ იფიქრა, რომ იგი იქნებოდა ღვთისგან აღთქმული მხსნელი. ამიტომ უწოდა მას სახელად კაენი—„მოპოვება“. ხოლო მეორე შვილს უწოდა სახელად აბელი—„ამაოება“. უთუოდ პირველთა მშობელთა, მოკლეევე ხანში, იგრძვნეს სიმწარე ცოდვითი ცხოვრებისა, მისი ამაოებისა, იქნება თვით მოზარდი კაენის ურჩობაც გამოსცადეს, რომ მეორე შვილს უწოდეს ასეთი სახელი. კაენი იყო მიწის მუშაკი ხოლო აბელი ცხოვართა მწყემსი.

ერთ დღეს ძმებმა შესწირეს ღმერთსა მსხვერპლი—.მსხვერპლის შეწირვა იყო წინედ დასახვა მაცხოვარების მსხვერპლისა ქრისტეს მიერ.—კაენმა შესწირა მიწის მოსავალი დაუდევრად, უგულოდ და ურწმუნოდ. ხოლო აბელმა შესწირა ცხვარი კრძალვით, სიყვარულით და სარწმუნოებით. ამისთვის ღმერთმა კაენის მსხვერპლი არ მიიღო, ხოლო აბელისა მიიღო. კაენს ეს ეწყინა და იმ დღიდგან მის გულში აენთო სიძულვილის ცეცხლი, რომელმაც დასდო კაენის სახესა დაღი დაღვრემისა. მრთელს მის ბუნებას მოედო სენი იმ ბიწიერებათა, რომლებისგანაც მოსალოდნელი იყო რაიმე საზარელი საქმე.—

ღმერთმა გააფრთხილა კაენი და უთხრა მას: „შენ რად იწყინე, რად ხარ დღვრემილი? როდესაც კარგს რასმეს იქმ, მაშინ თავს მაღლა იღებ, ხოლო როდესაც ცუდსა ჰფიქრობ, მაშინ ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.“

ამისთანა ჩაგონება ღვთისა კაენმა არ შეისმინა. იგი სრულიად დაემონავა შურსა და სიძულილსა: მან წაიყვანა მინდორში ძმა თვისი აბელი და მოჰკლა იგი. კაენს ეგონა, რომ ვერავინ დაინახა მისი ბოროტი საქმე, მაგრამ ღმერთი, ყოვლისა მხილველი, შეეკითხა მას. „სად არის აბელი, ძმა შენი? ძმის—მკვლელმა უთხრა: „არ ვიცი. განა მცველი ვარ ძმისა ჩემისა“? შემდეგ ასეთი თავხედობისა, ღმერთმა უთხრა კაენსა: „შენ რა ჰქმენ ესა? შენი ძმის სისხლმა აღიმაღლა ხმა დედამიწიდგან და შემომტირის მე. შეჩვენებული ხარ შენ დედა-მიწისგან, რომელიცა, შემდეგ მიღებისა შენი ხელიდგან შენი ძმის სისხლისა, განგაგდებს შენ; როდესაც შენ შეიმუშავებ მას, იგი აღარ გამოაცხადებს შენთვის თვის ძალსა; შენ იქნები განდევნილნი და იტანტალებს ქვეყანაზე.“ კაენმა სთქვა: „დასჯა ჩემი იმოდენ დიდია, რომ მის ატანისთვის ძალა არ შემრჩება; ვიქმნები განდევნილი და ვიტანტალებ ქვეყანაზე; ვინც შემხვდება მე, მაშინვე მომკლავს.“ მაგრამ უფალმა სთქვა: „ყოველსა, ვინც მოჰკლავს კაენსა, გარდაეხდევინება შვიდჯერ.“—რომ არავის მოეკლა კაენი და მით არ შეემცირებინა მისი სასჯელი, რომელიც მიეგო მას გასაფრთხილებლად სხვათა, ღმერთმა დასდო მას განსაკუთრებითი ნიშანი მორიდებისა, რომლის გამოც მასთან მიახლოვება შეუძლებელი შეიქმნა.

კაენი გაშორდა მშობელთა და შორს ცალკე დასახლდა. მისგან წარმოსდგა იმისთანა ბიწიერი ტომი, რომ მან დაივიწყა მაცხოვარების აღთქმაცა, სარწმუნოებაცა, ღმერთიცა, ყოველი, რაც ადამიანს აყენებს ნამდვილ ღირსების ხარისხზე. ამ ტომში სულიერი მხარე ადამიანის ბუნებისა სრულიად დაიწიხლა, მის სამზრუნველოდ შეიქმნა მხოლოდ გარეგნობა, ხორციელი ცხოვრება.

ამ საზარელი მოვლენის მსგავსებასა ჩვენ ვხედავთ დღესა; ვხედავთ როგორ ფიცხად დუღს ადამიანის ბუნებაში სისხლი კაენის ბიწიერებისა; ვხედავთ, როგორ გახშირებულია ყველგან კაცის—მკვლელობა. სისხლის ნაკადი მეტად გაიშალა, ყველგან ირწყვის მით დედა მიწა. ხოლო ეს წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგენს ბუნების ფრიად დიდ წინააღმდეგობასა. ნუ თუ ეს არ არის მიზეზი საზოგადო შიმშილისა?!..

არა კაც-ჭკვა:

ცხოვრების გამგე არის თვით ღმერთი—შემოქმედი და არა კაცი. მას ნება არა აქვს ღვთის განგებულებაში შერევისა და მის წერის დარღვევისა. სიცოცხლის მიმცემიცა და გამომრთმევიცა არის ღმერთი და არა კაცი. ამიტომ კაცის-მკვლელი უცხადებს ღმერთსა დიდ თავხედობასა. „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, შენ სძლიე მიზიდვა მისი-“

არა კაც-ჭკვა:

ასე ბრძანებს ღმერთი ღრუბლითა და ცეცხლითა. ამასვე აგონებს კაცსა მისი სვინდისი, კაცის ბუნებაში ღვთისგან დანერგული. ამიტომ შეიგნე, კაცო, რომ „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.“

არა კაც-ჭკვა:

ჩვენთვის ჯვარცმული მაცხოვარი, რომელმანც თვისი სისხლითა აღამაღლა კაცის ბუნება, გვამცნებს, რომ არამთუ მკელელი კაცისა, არამედ ისიცა, ვინც ეტყვის ძმასა თვისსა: „უგუნურო,“ ქვემდებარეა ცეცხლის გეენისა—ჯოჯოხეთისა. „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.“

არა კაც-ჭკვა:

ნუ ჰკარგავ კაცის ღირსებასა, ნუ შორდები სახლის კერასა, ნურც საზოგადოებასა, შეისმინე ესოდენ ტკბილი რჩევა უფლისა: „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.“

არა კაც-ჭკვა:

ნუ შეიქმნები შეჩვენებული, ნუ მიიღებთ ახალად სამარცხვინო დღისა შეჩვენებისასა, მაშინ როდესაც იგი აალალა სრულიად კაცობრივობასა მაცხოვარმა თვის სისხლითა და მოუვლინა მას მადლი და კურთხევა. ნუ მოიკლებ ამ მადლსა და კურთხევასა. „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.„

არა კაც-ჭკვა:

ნუ შეიქმნები ქვეყანაზე დაღვრემილი მოტანტალე, დაიფასე კაცია საზოგადოების ღირსება, სახლ-კარობის სანდომობა, მშვიდობიანობის შრომის სიტკბოება. ამას ყოველსა პატივი ეცი. „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მიზიდვა მისი.“

არა კაც-ჭკვა:

ნუ დაისვამ შენს ტანზე დაღსა მორიდებისასა, შეიბრალე სხვაცა და შენი თავიცა, ნუ გასწყვეტ კავშირსა ადამიანურუ ძმობისასა; შეიგნე, რომ მოვალე ხარ, რათა უვნებელ ჰყო სხვაცა და თავიცა შენი. ნუ იტყვი: „განა მე მცველი ვარ ძმისა ჩემისა?„ შეიგნე, რომ ხარ... „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.“

არა კაც-ჭკვა:

თავხედი ბოროტებითა ნურავინ ნუ დაავქრიებ, ნუ დაავობლებ, ნუ მოუსპობ მათ მკვებავსა, ნუ დაიღვრეინებ მათ გოდების ცრებლთა, რომელნიც გამოიწვევენ შენთვის ღვთისაგან საუკუნო სამართლიან დასჯასა. „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.“

არა კაც-ჭკვა:

ნუ შეიქმნები დედა-მიწიდგან განდევნილი, ნუ მოაკლებინებ მას შენი ცოდვითა ნაყოფიერობის ძალასა, ნუ შეიქმნები მიზეზად საზოგადო შიმშილისა და მისგნით მრავალთა მწარე სიკვდილისა... „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.“

არა კაც-ჭკვა:

ნუ დაღვრი, ნუდაღვრი სისხლსა კაცისასა, რომელიც მსგავსად აბელის სისხლისა, შესტირებს ზეცად ღმერთსა და მოითხოვს მისგან სამართალსა. გახსოვდეს ესა... „ცოდვა გიტაცებს შენ თვისკენ, მაგრამ შენ სძლიე მიზიდვა მისი.“

ი ბალუევი.

შინაარსი.

სალიტერატურო განძეულება: ჩვენი ჟურნალის ხელის მომწერთა საყურადღებოდ, დეკ. დ. ღამბაშიძის.—ბედნიერების ძირი, ონრფერე მწერის.—ქართული ენის პროგრამის გამო.—ბათომიდან ნეაპოლამდე გემით მოგზაურობა, მგზავრის.—საპირობა თუ არა ხალხში კეშმარიტი სწავლის გასავრცელებლად მწერლის კლოუნობა? სოფლის ხუცესის.—პორტ-არტურის საქმე.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ჟურნალ-გაზეთიდან.—

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოებასა და **კეთილ-ზნეობაზე**: მეექვსე მცნება, ი. ბალუევის.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 15 ივლისი, 1907 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.